ოქმი:**ო63.63221232**
თარიღი:**03/05/2022**

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის**

**საკრებულო**

**ინფრასტრუქტურის საკითხთა**

**კომისიის სხდომის**

**ო ქ მ ი N 5**

**2022 წელი**

**ინფრასტრუქტურის საკითხთა**

**კომისიის სხდომის**

**ო ქ მ ი N 5**

**სამტრედიის მუნიციპალიტეტი 18 აპრილი 2022 წელი**

**საკრებულოს შენობა**

**სამტრედია რესპუბლიკის ქ. N6**

მიმდინარე წლის 18 აპრილს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომა ჩატარდა გაერთიანებული საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიასთან ერთად, ინფრასტუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ტარიელ ცომაიას თავმჯდომარეობით.

**სხდომას ესწრებოდა:** ტ. ცომაია, დ. ჯანელიძე, ჯ. ახობაძე, პ. კოხრეიძე, მ. სირბილაძე, გ. ჯულაყიძე, ვ. ფოცხვერია, გ. გაგუა, ქ. კუტალაძე, ა. თადუმაძე, ვ. სტურუა, მ. უღრელიძე, გ. არველაძე, ა. მინაშვილი.

**არ ესწრებოდა** : ე. შუბლაძე, ბ. თევზაძე და ი. მეიშვილი.

**მოწვეული სტუმარი** : სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის სპეციალისტი ნოდარ ჩაჩუა.

**დღის წესრიგი:**

1. საკრებულოს წევრის პარტია ,,ლელოს" წარმომადგენლის გივი ჯულაყიძის განცხადება N 19/6322103001-63 13.04.2022 წ.

/მომხსენებელი: ტ. ცომაია/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთის მე-9 უბანში მცხოვრები რეპატრიანტი მესხი ქალების საინიციატივო ჯგუფის ,,იანეთელი ქალები"-ს ერთობლივი განცხადება N 19/63220944-63 04.04.2022 წ.

/მომხსენებელი: ტ. ცომაია/

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მომართვა N 62-622210442 14/04/2022 წ.

/მომხსენებელი: ტ. ცომაია/

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს წარმოდგენილ დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად ინფრასტრუქტურისა და საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომის წევრთა 14 ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

**დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით** ინფრასტუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ტარიელ ცომაიამ კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის პარტია ,,ლელოს" წარმომადგენლის გივი ჯულაყიძის განცხადება N 19/6322103001-63 13.04.2022 წ. განცხადებიდან გამომდინარე, რომელსაც თან ერთვის მოსახლეობის ხელმოწერები, განმცხადებელი ითხოვს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის იმერეთისა და ბოლქვაძის ქუჩებზე ამორტიზირებული საწრეტი არხების პრობლემის აღმოფხვრას, რაც აღნიშნული ქუჩის მოსახლეობის კუთვნილი ეზოების და სახლების დატბორვას იწვევს .

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ მიმდინარე წლის 18 აპრილს განიხილა აღნიშნული საკითხი და გამოირკვა, რომ აღნიშნულ ქუჩებზე 2017 წელს მერიამ გადაწყვიტა საწრეტი არხების მოწყობა, მაგრამ, ვინაიდან არხების ნაწილის მოწყობა უნდა განხორციელებულიყო კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიების გავლით, კერძო ტერიტორიების მფლობელთა გარკვეულმა ნაწილმა უარი განაცხადა მათ ტერიტორიაზე მომხდარიყო საწრეტი არხების გაყვანა, სწორედ ამიტომ ვერ მოხერხდა წინა წლებში სამუშაოების დაპროექტება.

მიმდინარე წლის აპრილის თვეში, საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის წევრების მიერ, იმერეთის და ბოლქვაძის ქუჩის მოსახლეობასთან არაერთგზის მოლაპარაკებების შედეგად მოხდა ერთ-ერთ კერძო მესაკუთრესთან შეთანხმება, რომელიც დათანხმდა საკუთარ მიწის ნაკვეთზე საწრეტი არხის მშენებლობას.

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ, მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურთან და შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან ერთად შეისწავლა და გამოარკვია, რომ ბოლქვაძის და იმერეთის ქუჩებზე არხების მოწყობის შემთხვევაშიც კი, დატბორვის პრობლემა მაინც ვერ აღმოიფხვრება, ვინაიდან აღნიშნული ქუჩების საწრეტი არხები უერთდება კოსტავას ქუჩის არხს, რომელიც წლებია უკვე არ გაწმენდილა, ამჟამინდელი მდგომარეობით კი, ეს არხი ვერ გაატარებს აღნიშნული ქუჩებიდან წამოსულ ნალექს, ამიტომ საჭიროა კოსტავას ქუჩის ამოწმენდა-დაღრმავების სამუშაოები და კაპიტალურად მოწყობა, კერძოდ: კოსტავას ქუჩასა და ბოლქვაძის ქუჩის კვეთიდან მდინარე ლოღობამდე (ჯამში 150 მეტრი).

კომისიამ იმსჯელა, რომ აღნიშნული საკითხი ნამდვილად საჭიროებს

მოწესრიგებას და მიიღო გადაწყვეტიელება ეცნობოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, რათა შესაძლებლობების ფარგლებში მერიამ დროულად მოხდინოს იმერეთისა და ბოლქვაძის ქუჩის არხების და ასევე კოსტავას ქუჩაზე არსებული არხის (150 მეტრი) კაპიტალურად მოწყობის სამუშაებზე საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და შემდგომში სამშენებლო სამუშაოების წარმოება.

**დაადგინეს:** სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა და საფინანსო -საბიუჯეტო საკითხთა გაერთიანებულმა კომისიამ 14 ხმით მიიღო გადაწყვეტილება, რომ საკითხი გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას.

**<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u>** ინფრასტუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ტარიელ ცომაიამ კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთის მე-9 უბანში მცხოვრები რეპატრიანტი მესხი ქალების საინიციატივო ჯგუფის ,,იანეთელი ქალები“-ს ერთობლივი განცხადება N 19/63220944-63 04.04.2022 წ. განცხადებიდან გამომდინარე რეპატრიანტი მესხი ქალების საინიციატივო ჯგუფი ,,იანეთელი ქალები“ ითხოვენ იანეთში შემდეგი პრობლემების მოწესრიგებას:

1. ბაღის მოსწავლეებისათვის სატრანსპორტო საშუალების გამოყოფას , რომელიც ბაღის აღსაზრდელებს მოემსახურება ქალაქის ბაღში ტარების მიზნით.

2. მუნიციპალური ტრანსპორტის გამოყოფას სოფლის მოსახლეობისათვის, რათა მოსახლეობამ მოახერხოს ქალაქში ჩასვლა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარების მიზნით.

3. იანეთის სკოლისათვის კეთილმოწყობილი სათამაშო მოედნის მოწყობას, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს ისწავლონ და აღიზარდონ ჯანსაღ სპორტულ გარემოში.

4. იანეთში არსებული საწრეტი არხების გაწმენდასა და სოფლის შემოსასვლელთან არსებული მინდვრების მიმდებარედ ახალი საწრეტი არხების გაჭრას. რომელიც აღმოფხვრის დატბორვის საშიშროებას.

5. საყოფაცხოვრებო ურნების დამატებას , ვინაიდან არსებული საყოფაცხოვრებო ურნების რაოდენობა არ არის საკმარისი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიამ განიხილა კომისიაზე რეპატრიანტი მესხი ქალების, საინიციატივო ჯგუფი ,,იანეთელი ქალები“-ს მოთხოვნები და მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული პრობლემის შესახებ მიეწეროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას , რატა მერიის სესაბამისმა სამსახურებმა გაითვალისწინოს მოსახლეობის მოტხოვნა და შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმაროს სოფელს ზემოტ აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში.

**დაადგინეს:** სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა და საფინანსო -საბიუჯეტო საკითხთა გაერთიანებულმა კომისიამ 14 ხმით მიიღო გადაწყვეტილება, რომ საკითხი გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას.

**<u>დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით</u>** ინფრასტუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ტარიელ ცომაიამ კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მომართვა N 62-622210442 14/04/2022 წ. მომართვიდან გამომდინარე სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ითხოვს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26–ე მუხლის მე–2 პუნქტის ,,ა“–ქვეპუნქტის მიხედვით, მოიწვიოთ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმები“-ს პირველი მუხლის მე-9, მე-10 და მე-13 პუნქტების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ,,2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ" განკარგულება. კერძოდ კი:

**2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები**

| **№** | **სოფელი** | **პროექტის დასახელება** | **საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა** | **თანადაფინანსება** | **პროექტის ღირებულება** | **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება** |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | ბაში | ამბულატორიის შენობისთვის სველი წერტილების მოსაწყობად მასალების შეძენა | 1 000 | 0 | 1000 | 0 |
| 2 | ბაში | გარე განათების მოწყობა | 19 000 | 0 | 18525 | 475 |
| 3 | იანეთი | გარე განათების მოწყობა | 20 000 | 0 | 19500 | 500 |
| 4 | დიდი ჯიხაიში | სერგეთის უბანში სანიაღვრე არხის გაჭრა | 10 000 | 6 000 | 15600 | 400 |
| 5 | დიდი ჯიხაიში | გარე განათების მოწყობა 26-ე (ჩიხებით) და 23-ე ქუჩებზე | 10 000 | 4 000 | 13650 | 350 |
| 6 | პატარა ეწერი | სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა და ხიდ-ბოგირის მოწყობა | 2250 | 0 | 2194,0 | 56 |
| 7 | პატარა ეწერი | სასაფლაოს შემოღობვა | 9250 | 0 | 9019 | 231 |
| 8 | პატარა ეწერი | მოსაცდელთან მისასვლელი გზის (ბილიკის) მოწყობა | 500 | 0 | 488 | 12 |
| 9 | ოჭოფა | არსებული სკვერის კეთილმოწყობა | 10000 | 0 | 9750 | 250 |
| 10 | კეჭინარი | ხიდ-ბოგირის მოწყობა და მოსაცდელის რეაბილიტაცია | 3000 | 0 | 2925 | 75 |
| 11 | კეჭინარი | სპორტული მოედნის ინფრასტრუქტურის | 8500 | 0 | 8288 | 212 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მოწყობა | | | | |
| 12 | კეჭინარი | სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია | 500 | 0 | 488 | 12 |
| 13 | გვიმრალა | საბავშვო ბაღის მიმდებარედ გზისპირა მოსაცდელის მოწყობა | 8000 | 0 | 7800 | 200 |
| 14 | გვიმრალა | საწრეტი არხების რეაბილიტაცია და მილ-ბოგირების მოწყობა | 1650 | 0 | 1609 | 41 |
| 15 | გვიმრალა | ამბულატორიის ეზოს ღობის რეაბილიტაცია | 350 | 0 | 341 | 9 |
| 16 | გვიმრალა | სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია | 2000 | 0 | 1950 | 50 |
| 17 | ჯიქთუბანი | გარე განათების მოწყობა | 7000 | 0 | 6825 | 175 |
| 18 | ჯიქთუბანი | სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია | 750 | 0 | 731 | 19 |
| 19 | ჯიქთუბანი | არსებული სკვერის რეაბილიტაცია | 4250 | 0 | 4144 | 106 |
| 20 | ახალსოფელი | ორი საბავშვო სკვერისთვის ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი | 11000 | 0 | 11000 | 0 |
| 21 | ახალსოფელი | საწრეტი არხების რეაბილიტაცია | 4500 | 0 | 4388 | 112 |
| 22 | ახალსოფელი | არსებული სპორტული მოედნის ღობის რეაბილიტაცია | 500 | 0 | 488 | 12 |
| 23 | მელაური | ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა | 5000 | 0 | 4875 | 125 |
| 24 | მელაური | გარე განათებისთვის 3 ცალი ლითონის ბოძის მოწყობა | 1400 | 0 | 1365 | 35 |
| 25 | მელაური | სახანე ფართობებთან მისავლელ გზაზე ხიდ-ბოგირის მოწყობა | 3400 | 0 | 3315 | 85 |
| 26 | მელაური | ამბულატორიის ოთახის რემონტი და სველი წერტილების მოწყობა | 2200 | 1 000 | 3120 | 80 |
| 27 | მიწაბოგირა | სპორტული სავარჯიშო მოწყობილობების (ტრენაჟორების) მონტაჟი | 16000 | 10 000 | 26000 | 0 |
| 28 | ხიბლარი | შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხებისა | 16000 | 0 | 15600 | 400 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | და მილ-ბოგირების მოწყობა | | | | |
| 29 | დაბა კულაში | სპორტული მოედნის რეაბილიტაცია | 20000 | 20 000 | 39000 | 1000 |
| 30 | ნაბაკევი | სკვერის კეთილმოწყობა | 12000 | 0 | 11700 | 300 |
| 31 | ნაბაკევი | მუზეუმის ქუჩის ხიდ-ბოგირზე მოაჯირის მოწყობა | 4000 | 0 | 3900 | 100 |
| 32 | ჩხენიში | ე.წ. მაღლა გორის უბანში სკვერის მოწყობა | 11000 | 0 | 10725 | 275 |
| 33 | ჩხენიში | ცენტრალურ ქუჩაზე არსებული გზისპირა მოსაცდელის რეაბილიტაცია | 3000 | 0 | 2925 | 75 |
| 34 | ჩხენიში | სპორტული მოედნისთვის ინვენტარის შეძენა | 1000 | 0 | 1000 | 0 |
| 35 | ჩხენიში | არსებული სკვერის რეაბილიტაცია | 1000 | 0 | 975 | 25 |
| 36 | ხუნჯულაური | სოფლის ცენტრში არსებული მინი-სტადიონის რეაბილიტაცია | 0 | 12 000 | 11700 | 300 |
| 37 | ხუნჯულაური | არსებული სკვერის კეთილმოწყობა | 8000 | 0 | 7800 | 200 |
| 38 | ხუნჯულაური | არსებული მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია | 4000 | 0 | 3900 | 100 |
| 39 | ნინუაკუთხე | სოფლის ცენტრში არსებული მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია | 4000 | 0 | 3900 | 100 |
| 40 | ნინუაკუთხე | ე.წ. ნაბუტკოს უბანში არსებული სკვერის რეაბილიტაცია | 10000 | 0 | 9750 | 250 |
| 41 | ნინუაკუთხე | არსებულ მინი-სტადიონზე ორი ერთეული ღამის განათების დამატება | 2000 | 0 | 1950 | 50 |
| 42 | კვირიკე | არსებულ მინი სტადიონზე ღამის განათების მოწყობა და ღობის რეაბილიტაცია | 7000 | 0 | 6825 | 175 |
| 43 | კვირიკე | არსებული სკვერის კეთილმოწყობა | 5000 | 0 | 4875 | 125 |
| 44 | ღანირი | გარე განათების მოწყობა | 20000 | 0 | 19500 | 500 |
| 45 | ჭაგანი | გარე განათების მოწყობა | 16000 | 0 | 15600 | 400 |
| 46 | დაფნარი | სანიაღვრე არხების გაჭრა-ამოწმენდა | 3800 | 0 | 3705 | 95 |
| 47 | დაფნარი | სანიაღვრე სისტემისთვის პოლიეთილენის გოფრირებული 300 მმ დიამეტრის | 1600 | 0 | 1600 | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მილების შეძენა | | | | |
| 48 | დაფნარი | გარე განათების მოწყობა | 10600 | 0 | 10335 | 265 |
| 49 | დაბლა გომი | გარე განათების მოწყობა | 13000 | 0 | 12675 | 325 |
| 50 | დაბლა გომი | წყლის სისტემის სარეაბილიტაციოდ მასალების შეძენა (63მმ-იანი 700 გრძ/ მეტრი პოლიეთილენის მილის და 6 ცალი გადასაბმელის შეძენა) | 3000 | 0 | 3000 | 0 |
| 51 | კეთილაური | გზის გაფართოება-რეაბილიტაცია | 9500 | 0 | 9263 | 237 |
| 52 | კეთილაური | სოფელ დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 200 | 0 | 200 | 0 |
| 53 | კეთილაური | სოფელ მთისძირში, საყანე ფართობებთან მისასვლელი გზისთვის სანიაღვრე ღარების შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 300 | 0 | 300 | 0 |
| 54 | ცივწყალა | გზის მოხრეშვა-მოტკეპნვა 400 კბ/მ ბალასტით | 9000 | 0 | 8775 | 225 |
| 55 | ცივწყალა | გზაზე რკინა-ბეტონის ცხაურის მოწყობა (6 გრძ/მეტრი) | 700 | 0 | 683 | 17 |
| 56 | ცივწყალა | სოფელ მთისძირში, საყანე ფართობებთან მისასვლელი გზისთვის სანიაღვრე ღარების შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 300 | 0 | 300 | 0 |
| 57 | გომმუხაყრუა | სოფელ დაბლა ეწერის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 6500 | 0 | 6338 | 162 |
| 58 | გომმუხაყრუა | გარე განათების მოწყობა | 5000 | 0 | 4875 | 125 |
| 59 | გომმუხაყრუა | გომის საბავშვო ბაღის წყალმომარაგებისთვ | 500 | 0 | 500 | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ის მასალების შეძენა | | | | |
| 60 | ჯომნატეხ ები | გზის მოხრეშვა 1300 გრძ/მეტრზე 450 კბ/მ ბალასტით | 4500 | 0 | 4388 | 112 |
| 61 | ჯომნატეხ ები | სკვერის შემოსაღობად მასალების (მილ-კვადრატი, ცემენტი, ქვიშა-ღორღი, ფიცარი) შეძენა | 6500 | 0 | 6500 | 0 |
| 62 | ჯომნატეხ ები | გარე განათების მოწყობა | 1000 | 0 | 975 | 25 |
| 63 | მთისძირი | გარე განათების მოწყობა | 5700 | 0 | 5558 | 142 |
| 64 | მთისძირი | სოფელ მთისძირში, საყანე ფართობებთან მისასვლელი გზისთვის სანიაღვრე ღარების შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 300 | 0 | 300 | 0 |
| 65 | მთისძირი | სპორტული სავარჯიშო მოწყობილობების (ტრენაჟორების) მონტაჟი | 10000 | 16 000 | 26000 | 0 |
| 66 | კორმაღა ლი | გარე განათების მოწყობა | 6000 | 0 | 5850 | 150 |
| 67 | კორმაღა ლი | სოფელ კორმაღლის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 5400 | 0 | 5265 | 135 |
| 68 | კორმაღა ლი | სოფელ დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 300 | 0 | 300 | 0 |
| 69 | კორმაღა ლი | სოფელ მთისძირში, საყანე ფართობებთან მისასვლელი გზისთვის სანიაღვრე ღარების შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 300 | 0 | 300 | 0 |
| 70 | დობირო | გარე განათების მოწყობა | 4200 | 0 | 4095 | 105 |
| 71 | დობირო | სოფელ კორმაღლის სასაფლაოს შემოღობვა | 5200 | 0 | 5070 | 130 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | | | | |
| 72 | დობირო | სოფელ დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 300 | 0 | 300 | 0 |
| 73 | დობირო | სოფელ მთისძირში, საყანე ფართობებთან მისასვლელი გზისთვის სანიაღვრე ღარების შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 300 | 0 | 300 | 0 |
| 74 | დაბლა ეწერი | გარე განათების მოწყობა | 3000 | 0 | 2925 | 75 |
| 75 | დაბლა ეწერი | სოფელ დაბლა ეწერის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 4000 | 0 | 3900 | 100 |
| 76 | დაბლა ეწერი | სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 2700 | 0 | 2605 | 95 |
| 77 | დაბლა ეწერი | სოფელ მთისძირში, საყანე ფართობებთან მისასვლელი გზისთვის სანიაღვრე ღარების შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 300 | 0 | 300 | 0 |
| 78 | ზედა ეწერი | გარე განათების მოწყობა | 5200 | 0 | 5070 | 130 |
| 79 | ზედა ეწერი | სოფელ კორმაღლის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 6200 | 0 | 6045 | 155 |
| 80 | ზედა ეწერი | სოფელ დაბლა გომის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | 300 | 0 | 300 | 0 |
| 81 | ზედა ეწერი | სოფელ მთისძირში, საყანე ფართობებთან მისასვლელი გზისთვის სანიაღვრე | 300 | 0 | 300 | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ღარების შეძენა (ერთობლივი საპროექტო წინადადება) | | | | |
| 82 | საჯავახო | გარე განათების მოწყობა | 14000 | 3 000 | 16575 | 425 |
| 83 | საჯავახო | საკირეს უბანში წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 2000 | 0 | 1930 | 70 |
| 84 | ჭოგნარი | შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია (მოხრეშვა და მილ-ბოგირების მოწყობა) | 12000 | 0 | 11700 | 300 |
| 85 | პირველი ნიგოზზღვა | სასაფლაოს შემოღობვა და კეთილმოწყობა | 6500 | 8 000 | 14138 | 362 |
| 86 | პირველი ნიგოზზღვა | გზისპირა მოსაცდელის მოწყობა კიკვაძეების უბანში | 5500 | 0 | 5363 | 137 |
| 87 | მეორე ნიგოზზღვა | ე.წ. მეწყნარის უბანში გარე განათების მოწყობა | 7000 | 0 | 6825 | 175 |
| 88 | მეორე ნიგოზზღვა | სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია | 3000 | 10 000 | 12675 | 325 |
| 89 | ტოლები | შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა | 10000 | 0 | 9750 | 250 |
| 90 | ზემო ტოლები | წყლის სათავე ნაგებობისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობა | 10000 | 0 | 9650 | 350 |
| 91 | ქვემო ნოღა | გარე განათების მოწყობა | 12000 | 0 | 11700 | 300 |
| 92 | ზემო ნოღა | შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა ეცადეიშვილების და გოგავების უბნებში | 12000 | 0 | 11700 | 300 |
| 93 | ვაზისუბანი | ე.წ. გადაღმა ვაზისუბნის და ბინებისკენ მიმავალი გზის მოხრეშვა | 16000 | 0 | 15600 | 400 |
| 94 | ბუღნარა | ე.წ. მორეშავის უბანში გარე განათების მოწყობა | 7000 | 0 | 6825 | 175 |
| 95 | ბუღნარა | არსებული სტადიონის შემოსაღობად მასალების შეძენა | 5000 | 0 | 5000 | 0 |
| 96 | ქორეისუბანი | გზის მოხრეშვა | 10000 | 0 | 9750 | 250 |
| 97 | დიდი ოფეთი | წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია და წყლის სისტემის დაზიანებული მონაკვეთების | 10000 | 10 000 | 19300 | 700 |

საქართველო, 3900, ქ. სამტრედია, რესპუბლიკის ქ. N6 ტელ: (411) 222727
RESPUBLIKA #6 SQUARE, SAMTREDIA, 3900, GEORGIA TEL: (411) 222727

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | შეცვლა | | | | |
| 98 | პატარა ოფეთი | წყლის სისტემების რეაბილიტაცია | 10000 | 10 000 | 19300 | 700 |
| 99 | ნაწილი ოფეთი | შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია | 10000 | 0 | 9750 | 250 |
| 100 | მტერჩვეული | შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია | 10000 | 0 | 9750 | 250 |
| 101 | წიაღუბანი | შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია | 10000 | 0 | 9750 | 250 |
| 102 | თხილაგანი | შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია | 10000 | 0 | 9750 | 250 |
| 103 | გორმაღალი | საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა | 12000 | 0 | 11700 | 300 |
| 104 | გორმაღალი | სკვერის მოწყობა ქვაყუდის უბანში | 4000 | 8 000 | 11700 | 300 |
| 105 | გამოჩინებული | გარე განათების მოწყობა | 10000 | 0 | 9750 | 250 |
| | | | **660 000** | **118 000** | **760 129** | **17 871** |

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ განიხილა აღნიშნული განკარგულების პროექტი და მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოწონებულ იქნას ზემოთ აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტები.

**დაადგინეს:** კომისიამ 14 ხმით მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტებთან დაკავშირებით და საკითხი გავიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

ტარიელ ცომაია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია-ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, 3900, ქ. სამტრედია, რესპუბლიკის ქ. N6 ტელ: (411) 222727
RESPUBLIKA #6 SQUARE, SAMTREDIA, 3900, GEORGIA TEL: (411) 222727